



აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობა გამგებლის ბრძანება

ქ. თბილისი

N 2-22
01/03/2021

22-0-4-202103011754



აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის, 2022წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 76-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს:

- ა) აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფი **დანართი 1-ის** შესაბამისად;
- ბ) 2021-2022 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი **დანართი 2-ის** შესაბამისად;
- გ) საბიუჯეტო ორგანიზაციებმა პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებისათვის საჭირო ინფორმაციის ნუსხა წარმოადგინონ დამტკიცებული განაცხადების ფორმების შესაბამისად.

2. დაევალოს აჭარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს (მარინა დევდარიანს) შეადგინოს:

- ა) საბიუჯეტო კალენდართან (**დანართი 2**) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისათვის;
- დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ერეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

ვ)წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმბი7-8დანართის შესაბამისად.

3. საფინანსო სამსახურმა , ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2022-2025წლის პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებითსამუშაო ჯგუფის ლოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ლაშა მარგიანი

გამგებელი

